

## მთა და მთიელნი ქართულ იდენტობრივ ნარატივში

მარიამ ჩხარტიშვილი

საქართველო

### პრობლემის დასმა

იდენტობრივი ნარატივი ეს არის დისკურსი, რომელიც წარმოადგენს პასუხს ერისათვის ეგზისტენციალური მნიშვნელობის კითხვებზე: „ვინ ვართ“? „ვინ ვიყავით“? „როგორია ჩვენი მომავალი“? „რა არის ჩვენი არსებობის საზრისი“?

ამ ნარატივს კოლექტიურ-კულტურულ იდენტობაზე აღმოცენებული ერთობის (ჩვენ-ჯგუფის) კულტურული ელიტა ქმნის: ხდება საზიარო ისტორიული გამოცდილების ფაქტების განსაზღვრა და მათი რეინტერპრეტაცია ერთიან კონტექსტში.

იდენტობრივი ნარატივის მეშვეობით ადამიანებს უყალიბდებათ ჯგუფური სოლიდარობის განცდა.

ეროვნული იდენტობრივი ნარატივები მრავალი თემის მომცველია. არსებითად ესაა თხრობანი მშობლიური ერის (უკვე რეალურის ან პოტენციურად არსებულის) რაობაზე. განიხილება ჩვენ-ჯგუფის წარსული, მისი სოციალური აღნაგობა და სოციალურ ჯგუფებს შორის ურთიერთობა, რეგიონალურ იდენტობათა მიმართება ეროვნულ იდენტობასთან, ფასეულობათა სისტემა, მორალურ ვალდებულებათა სქემა, კულტურული უნიკალურობა (ენა, რელიგია, მიღწევები ხელოვნებაში თუ ტექნიკაში), ეთნიკური რჩეულობა, გლობალური მისია, ერად ყოფნის ღვთაებრივი ნებით განპირობებულობა, საერთო ბედისწერა და მომავალი, ეროვნული ხასიათის თავისებურებანი, მიმართება „სხვებთან“ (ეთნიკურ ჯგუფებთან ქვეყნის შიგნით და სხვა ერებთან ქვეყნის გარეთ), მშობლიური მიწის საკრალურობა, და ა.შ. მოკლედ, იდენტობრივი ნარატივი მოიცავს ყველაფერს, რაც უკავშირდება კოლექტიური „მეს“ ანუ „ჩვენ“-ის განმარტებას.

თანამედროვე დასავლურ სამეცნიერო ლიტერატურაში იდენტობრივ ნარატივებს განსაკუთრებული ინტერესით სწავლობენ. საქართველოში კვლევის ეს მიმართულება ნაკლებად გამოკვეთილია. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ ქართველ ჰუმანიტართა მნიშვნელოვანი ნაწილი ერის ფენომენს ხედავს ესენციალისტურად. პირადად მე ერის კონსოლიდების პროცესს განვიხილავ კონსტრუქციონისტული პოზიციით, აქედან გამომდინარე იდენტობრივი ნარატივის კვლევა ჩემთვის პრიორიტეტია.

ჩემს ადრე გამოქვეყნებულ გამოკვლევებში უკვე გავაანალიზე ქართულ იდენტობრივი ნარატივის სხვადასხვა საკითხი და განვსაზღვრე

თითოეული მათგანის კავშირი ნაციონალიზმის ფუნდამენტურ იდეალებთან<sup>1</sup>. წინამდებარე ნაშრომში მე ვაგრძელებ ძიებას აღნიშნული მიმართულებით. კონკრეტულად, გავანალიზებ თემას, რომელსაც პირობითად შეიძლება ეწოდოს „ეროვნული ლანდშაფტის კონცეპტუალიზება“.

ტერიტორია კოლექტიურ კულტურულ იდენტობაზე დაფუძნებული ერთობების ერთ-ერთი უმთავრესი მარკერია, შესაბამისად, იდენტობრივ ნარატივებში სრულიად გამორჩეული ადგილი უკავია მშობლიურ მიწის შესახებ დისკურსს. საკრალიზებული ლანდშაფტები, რომელნიც ინიშნება ამ მიწაზე, არის „მეხსიერების ადგილები“<sup>2</sup>. მათი ერთი ნაწილი ხელოვნურად იქმნება შესაბამისი დარგის პროფესიონალების მიერ, მეორე ნაწილი კი ბუნებრივი წარმოშობისაა. ისინი (ასევე სპეციალისტების ძალისხმევით) ეროვნულ სიმბოლოდ იქცევა და ივსება ეროვნული კონსოლიდაციის პროცესისათვის ხელშემწყობი კულტურული საზრისით.

ამჯერად მე შევეხები მთას, მთურ ლანდშაფტს, როგორც ქართული იდენტობის მარკერს.

ეროვნული იდენტობრივი ნარატივი არის აბსტრაქცია, რომელიც გვევლინება სხვადასხვა ტექსტის ერთობლიობის სახით. ამ ტექსტების ერთ-ერთი სახე მხატვრული ლიტერატურაა. სწორედ მას გამოვიყენებ წყაროდ ამ გამოკვლევაში. დასმული პრობლემის კვლევისათვის ეს წყარო ყველაზე უფრო რელევანტურია

### **ფაქტობრივი მონაცემების ანალიზი.**

ერთი შეხედვით მოულოდნელად, მეცხრამეტე საუკუნის პირველი ათწლეულებიდან, ქართულ პოეზიასა და პროზაში მთების, მთური ლანდშაფტების, მთიელების მხატვრული რეპრეზენტირება აქტუალური ხდება. ქართველი მწერლები და პოეტები დიდი გამომსახველობით აღწერენ მთების მომწუსხველ სილამაზეს.

ქართველი მწერლების ყურადღებას განსაკუთრებით იპყრობს მთის მდინარეები, რომელთა უდიდესი ენერჯია, მუდმივად მოძრაობაში ყოფნა სანიშნოდ დაუსახავთ. ამ მდინარეების შედარება ხდება ბარის მდინარეებთან და აშკარად უპირატესობა პირველებს ენიჭებათ. საერთოდაც მთას ბართან შედარებით ეძლევა უპირატესობა. მთის ჰავა ჯანმრთელია და მთაში ცხოვრება უკეთესია. არათუ მშვენიერი ტყიანი მთები, არამედ სალი კლდეებიც

<sup>1</sup> მ. ჩხარტიშვილი. ქართული ეთნიკ რელიგიური მოქცევის ეპოქაში. თბ., 2009; მ. ჩხარტიშვილი, ქ. მანია. ქართველთა ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესის ასახვა ბეჭდურ მედიაში. ივერია და მისი მკითხველი საქართველო. თბ., 2011; მ. ჩხარტიშვილი. ზვიად გამსახურდიასეული ქართველი ერის ნარატივი (რეპრეზენტაცია და კომენტარები). ზვიად გამსახურდია - პოლიტიკა, მეცნიერება, ლიტერატურა, კონფერენციის მასალები, თბ., 2020, გვ. 7-27.

<sup>2</sup> Nora P. Between Memory and History: Les Lieux de Mémoire. Representations, 1989, № 26, Special Issue: Memory and Counter-Memory, გვ. 7-24.

კი ჯობია ბარის ყველა სიკეთეს. ქართველი მწერლები უსაზღვრო მიჯაჭვულობის გრძნობას ამჟღავნებენ მთების მიმართ, მათ ქმნილებებში მთები აშკარად მშობლიურ მინასთან ასოცირდება. ისეთი შთაბეჭდილებაა, რომ მთიანი ლანდშაფტი განაპირობებს მთის ფლორისა და ფაუნის სიკარგესაც. მთის მოსახლეობა გამორჩეულია ზნეობრივი სიკეთეებით: ვაჟკაცობა, გონიერება, უღალატობა, მასპინძლობის უნარი, ფიზიკური სიჩაუქე – ეს ყველა მათი უპირობო მახასიათებელია. თუ გამოერია მოღალატე, ის მოიკვეთება თემისაგან, როგორც მთური ეთიკური კოდექსის უგულვებელმყოფელი.

მთიელები ქართული ერთიანობის იდეის მატარებელნი არიან. საერთო მტრის მოსაგერიებლადაც ძალ-ღონეს არ იშურებენ. საქართველოს ბარის მოსახლეობას მხარში უდგანან. მათშია ენერჯია, მათ შეინახეს ქართული ავთენტური თვითი.

ამ ყველაფრიდან მკითხველმა ის დასკვნა უნდა გამოიტანოს, რომ სწორედ მთის რეგიონები გადაარჩინენ საქართველოს და უზრუნველყოფენ მის ნათელ მომავალს.

ნათქვამის ილუსტრირება შეიძლება არაერთი მაგალითით. ნაშრომის შეზღუდული მოცულობა საშუალებას არ მომცემს გავზარდო წყაროთა ჩამონათვალი ან საილუსტრაციოდ მოვიყვანო ვრცელი ამონარიდები მათგან. თუმცა ის მცირე ნაწილი, რაც ამჯერად იქნება განხილული, ვიმედოვნებ, რომ ნათელ წარმოდგენას შეუქმნის მკითხველს.

მთის და მთური ლანდშაფტის კონცეპტუალიზების კუთხით ძალიან საინტერესოა ქართული რომანტიზმის უდიდესი წარმომადგენლის ნიკოლოზ ბარათაშვილის პოემა „ბედი ქართლისა“ (1839). ამ პოემაში, როგორც ცნობილია, ბარათაშვილი, შესაბამისი მხატვრული სახეების საშუალებით, განიხილავს ქართველთა პოლიტიკური ორიენტაციის საკითხს, კერძოდ, მეფე ერეკლე მეორის მიერ რუსეთზე გეზის აღებას და ამ ცვლილების ფონზე ქართული იდენტობის შენარჩუნების პრობლემას. აი, სწორედ ამ მიზანდასახულების პოემაში არის მონაკვეთი, რომელიც ფაქტობრივად მდინარე არაგვის ქებათა ქებაა. პოეტური გამომსახველობის თვალსაზრისით, ეს ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი ადგილია ამ პოემაში. ნ. ბარათაშვილი აღწერს მთის მდინარეს და მის გარშემო არსებულ ბუნებას და ამას უკავშირებს ეროვნულ ხასიათს: „ჰოი, ნაპირნო, არაგვის პირნო, / მობიბინენო, შვებით მომზირნო, / ქართველსა გულმან როგორ გაუძლოს, / ოდეს შვენება თქვენი იხილოს, / რომ თქვენს ბუჩქებში არა ჩამოხდეს, / რაც უნდა გზასაც ეშურებოდეს! / როგორ იქნება არ განისვენოს / სამჯერ ხომ მაინც გადაჰკრავს ღვინოს, / ცხენს მოაძოვებს, თვალს მოატყუებს, / გამოიღვიძებს – შუბლს განიგრილებს, / ერთს ქართველურად კიდევ შესძახებს, / არაგვო, მაგ შენს ამწვანებულ მთებს, / და მერმე თუნდაც დაუგვიანდეს, იგი იმისთვის აღარ დაღონდეს“!

აქ მთიანი ლანდშაფტის აპოლოგიაა. ის ადამიანის მსოფლხედვას თავის კვალს ამჩნევს. მისი გავლენა აშკარად დადებითია.

თუ გავითვალისწინებთ ამავე ავტორის მიერ რამდენიმე წლით ადრე დაწერილ ლექსს „ფიქრნი მტკვრის პირას“, ეს აზრი კიდევ უფრო დამაჯერებლად მოგვეჩვენება: მტკვრის პირას გასული პოეტი სულაც არ არის ისე ოპტიმისტურად განწყობილი, როგორც აღნიშნულ პოემაში დახატული ქართველი, რომელსაც არაგვისპირი შვებას ჰგვრის და ოპტიმიზმით ავსებს: „ვინ იცის, მტკვარო, რას ბუტბუტებ, ვისთვის რას იტყვი?/მრავალ დროების მოწამე ხარ, მაგრამ ხარ უტყვი!/არ ვიცი, ამ დროს ჩემს წინაშე ჩვენი ცხოვრება/რად იყო ფუჭი და მხოლოდა ამოება“?

ნ.ბარათაშვილი ერთადერთი ქართველი მწერალი როდია მეცხრამეტე საუკუნეში, რომელიც აღწერს არაგვს და მისი, როგორც ქართული იდენტობის, ერთ-ერთი სიმბოლოს შესახებ აზრს გვიყალიბებს. ილია ჭავჭავაძის და ვაჟა ფშაველას მიმართვა არაგვისადმი არის უდიდესი ინტიმით სავსე: მთის მდინარე არაგვი განუყოფელია ქართველობისაგან. ილია შემდეგნაირად იხსენიებს არაგვს თავის პოემაში „აჩრდილი“ (1859. საბოლოო რედაქცია 1872): „ჩვენო არაგვო! რარიგ მიყვარხარ!/.ქართველის ცხოვრების მოწამე შენ ხარ.../ შენს კიდებზედ ჩემი მამული/იყო ერთ დროსა გამშვენებული“.

არაგვი, ეს უსულო არსი, პოეტის ხედვით, ცოცხალია და კიდევ მეტი, ის ქართველად ყოფნის აუცილებელი ატრიბუტია:

და აი, ნაწყვეტი ვაჟა-ფშაველას ლექსიდანაც „არაგვს“ (1886): „დამწუხრებულმა, არაგვო,/ რო გნახე, გავიხარეო,/სრულიად გამოვიცვალე,/წელშიაც ვავიხარეო./რა ლამაზია, წყეულო,/ შენთ ზვირთთა ლაღნი ჩქერანი,/ გააფთრებულსა ტალღასა/ კლდეს რო წაუვლენ თქერანი!/ შენ თვალს გარიდებ მაშინა,/ მთებისკე მწადის ცქერანი,/ უნდომლად მამინდებიან/ბედკრულს ბედკრულნი მღერანი./ გულიც იქ იწევს, თვალიცა,/ იქ რო მაღალი მთებია,/ ვინც რომ გიჟმაჟი გაგზარდა,/ ვის ძუძუც პირში გდებია“.

არაგვის გარდა ქართველ მწერალთა თვალი მიპყრობილია მდინარე თერგს. თერგიც ისევ და ისევ მათი ინტერესის არეალში ექცევა იმის გამო, რომ მთის მდინარეა. თერგის განუმეორებელი სახის შექმნას იწყებს გრიგოლ ორბელიანი თავის ლექსში „სალამო გამოსალმებისა“ (1840). პოეტი თავიდან ხატავს კავკასიონს, მერე თერგს: „ბუმბერაზ მთანი მდუმარედ ცათამდის აყუდებულნი,/ ჰსხედან, ვით დევნი, სპეტაკის ყინულ გვირგვინით შემკულნი!/ მათ კლდოვან გვერდთა შავადა ღრუბელნი ზედდაჰსწოლიან,/ და მრისხანებით ქვეყანას წარღვნითა ემუქრებიან./...გაზაფხული-სა ველითა ტყე შემოსილი სიმწვანით,/ მთებისა კალთებს შეამკობს სატკბო სუნნელთა მოფენით./ წყალნი მთით დაქანებულნი, აღმასებრ უფსკრულს ჰსცვივიან,/ თერგი ჰრბის, თერგი ღრიალებს, კლდენი ბანს ეუბნებიან“.

გრიგოლ ორბელიანი გვთავაზობს მხოლოდ ბუნების მშვენიერ სურათს, ილია კი საზრისს უძებნის ამ სურათს, რითაც დისკურსი თერგზე, მთაზე და ბარზე იქცევა ქართული იდენტობრივი ნარატივის განუყოფელ ნაწილად. მხედველობაში მაქვს ილიას „მგზავრის წერილები“ (1861), რომელიც ქართული ნაციონალიზმის არსის გასააზრებლად ერთ-ერთი უმთავრესი ტექსტია. სხვა ბევრ საკითხთან ერთად სწორედ აქ ეხება ილია თერგსაც იმისათვის, რათა გამოხატოს მისთვის მნიშვნელოვანი იდეები: „ეგ დასალუპავი თერგი! რა ორპირი ყოფილა! დახე, როგორ მიმკვდარა. რაკი ზურგი ჩვენსკენ უქნია და პირი რუსეთისაკენ, რაკი გაუმინდვრებია და გაუვაკნია, როგორღაც ის დევგმირული ხმა ჩასწყვეტია. ჩვენი დამთხვეული თერგი ვლადიკავკასთან ის თერგი აღარ არის, რომელზედაც ჩვენს პოეტს უთქვამს: „თერგი ჰრბის, თერგი ჰღრიალებს, კლდენი ბანს ეუბნებიან...“ იქ ისე დამდოვრებულა, ისე მიმკვდარა, თითქო ან როზგქვემ არის გატარებულიო, ან დიდი ჩინი მიუღიაო. მაგრამ იქნება თერგი იქ ეგრე იმიტომ მიჩუმებულა, რომ მობანე კლდენი გვერდით არ ახლავს, ის კლდენი, რომლის „კლდოვანთა გულთა ღრუბელნი შავადა ზედ დასწოლიან და მრისხანებით ქვეყანას წარღვნითა ემუქრებიან“. მაგრამ მაინცდამაინც ვაი შენ, ჩემო თერგო! შენ, ჩემო ძმობილო, ზოგიერთ კაცსავით, საცა მისულხარ, იქაური ქუდიც დაგიხურავს. ცოდვა არ არის, შენი ჭექა-ქუხილი, შენი ზარიანი ხმაურობა, შენი შფოთვა და ფოთვა, შენი გაუთავებელი ბრძოლა ქვე-კლდე-ღრესთან, თითქო შენი განიერი წადილი შენს ვინრო საწოლში ვერ მოთავსებულაო. ბევრი რამ საგულისყუროა შენში, ჩემო დაუმონავო თერგო, შენს ძლევამოსილს და შეუპოვარს დენაშია. აქ კი მიმრჩვალხარ დამარცხებულ და ნათრევ ლომსავითა. ცოდვა ხარ და ცოდვას შვრები“!

თერგით მოხიბლვის მიზეზი, როგორც ითქვა, მისი მთასთან კავშირია. ვაკეზე მდინარე თერგი პოეტის აღფრთოვანებას აღარ იწვევს. ილიაც აღწერს დიდი მონდომებით მყინვარს, მაგრამ არ იწონებს მის პირქუშობას, მედიდურობას და უძრობას და მას ენერგიულ თერგს უპირისპირებს. თუმც ეს ენერგიულობა თერგს, სწორედ მთისაგან რომ აქვს, კლდის გულიდან ამონახეთქი რომაა, ეს საგანგებოდ აღნიშნულია: „ოთახიდან გარეთ გამოვედი და შევხედე სტეფანწმინდის პირდაპირ აყუდებულ მყინვარსა, რომელსაც ყაზბეგის მთას ეძახიან. დიდებული რამ არის ეგ მყინვარი. აბა მაგას შეუძლიან სთქვას: ცა ქუდადა მაქვს და დედამინა ქალამნადაო. ცისა ლაჟვარდზედ მოჩანდა იგი თეთრად და აუმიღვრევლად. ერთის მუჭის ოდენი ღრუბელიც არა ჰფარავდა მის მაღალ შუბლსა, მის ყინვით შევერცხლილს თავსა. ერთადერთი ვარსკვლავი, მეტად ბრწყინვალე, ზედ დაჰნათიდა, ერთს ალაგს გაჩერებული, თითქო მყინვარის დიდებულ სახეს განუცვიფრებიაო. მყინვარი!.. დიდებულია, მყუდრო და მშვიდობიანი, მაგრამ ცივია და თეთრი. დანახვა მისი მაკვირვებს და არ მაღელვებს, მა-

ციებს და არ მათობს...- დალოცა ღმერთმა ისევ თავზედ ხელაღებული, გიჟი, გადარეული, შეუპოვარი და დაუმონავი, მღვრიე თერგი. შავის კლდის გულიდამ გადმომსკდარი მიდის და მიბლავის და აბლავლებს თავის გარეშემოსა. მიყვარს თერგის ზარიანი ხუილი, გამალებული ბრძოლა, დრტვინვა და ვაი-ვაგლახი. თერგი სახეა ადამიანის გაღვიძებული ცხოვრებისა“.

მთის მთელ სამშობლოსთან ასოცირება უკვე კარგად ჩანს ილიას ადრეულ შემოქმედებაში. 1857 წლით თარიღდება მისი ლექსი „ყვარლის მთებს“. აქ ბუნება, ლანდშაფტი ილიას აინტერესებს იმდენად, რამდენადაც ის უკავშირდება ქართველად ყოფნის იდეას: „სამშობლო მთებო! თქვენი შვილი განებებთ თავსა, /მაგრამ თქვენ ხსოვნას ვერ მივცემ მე დავიწყებასა/ თქვენ ჩემთან ივლით განუყრელად, ვით ჩემი გული,/ თქვენთან, ჰე, მთებო, ბუნებითა შეუღლებული/ ან მომწონს თავი, მეგობრებო, რომ დაბადება თქვენს შორისა მხვდა,/ ბუნებისა თქვენის ვარ შვილი, /გრიგალთა, მეხთა, ქუხილთ შორის ქართველად გაზრდილი“.

ზემოთ მე მოვიყვანე ამონარიდი „მგზავრის წერილებიდან“, რომელიც თერგის, როგორც მთისა და ვაკის მდინარის, დახასიათებას შეიცავდა. მაგრამ ილიას ამ ქმნილების მონაცემები ჩვენთვის საინტერესო საკითხის შესახებ ამით არ ამოიწურება. თხზულების მთავარი გმირი, ლელთ ღუნია მთიელია. ავტორი გვიჩვენებს, რომ ქართველობის შემნახველი სწორედ მთაა. მოხევური დიალექტითა და, ერთი შეხედვით, გულუბრყვილო მსჯელობებით ილია უბრალო მოხვევს ქართული ნაციონალიზმის პროგრამას წარმოათქმევინებს. მთიელი ლელთ ღუნია არა მარტოდენ თავის კუთხის, არამედ ეროვნული საზრუნავითაა მოცული.

ილია წამოჭრის მთისა და ბარის შედარების თემასაც. ავტორი (//მგზავრი) ეკითხება ლელთ ღუნიას თუ, რომელია უკეთესი, მთა თუ ბარი. ლელთ ღუნია ჯერ გაურბის პირდაპირ პასუხს, თუმც შემდგომ არჩევანს მაინც მთის სასარგებლოდ აკეთებს: „მაშ ისევ ბარი სჯობნებია: იქ ხალხი უფრო მაძღარია. – ვინ უწყის? იქაითაც საჭირბოროტოია დარჩენა. ადგილ ჰხამობს. იქაველ კაცს ფერი არა აქვენ, ჯანი არა აქვენ. აქაველ ჯანმრთელნი არნ. ცარგვლის გამჩენმა განაგო იქაით-მაძღრობა, აქაით – სიმრთელე. – რომელი ქვეყანა სჯობია, მაძღარი თუ მრთელი? – ორივენ ერთადა. უერთურთოდ ქვეყანაი გონჯაა. – ორში რომ ერთი ამოგარჩევიონ? ორჩიდა? არჩევიანზედ? ამ ღორღიან კლდეთ ვიჯობდი, ჯანმრთელია. ადამის ძეი ბალახითაც, გაჭირდის, გაძღების, სატკივარს რაი ყევის?“

უპირატესობა, როგორც ვხედავთ, კვლავ მთას ენიჭება, არამარტო ტყიან მთას, არამედ მწირ კლდესაც კი. თითქოს პროტესტია ცივილიზაციის და ურბანიზაციის, ახალი დროის მიერ მოტანილი ცვლილების მიმართ.

მთის კონცეპტუალიზების თვალსაზრისით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ვაჟა-ფშაველას პოემა „ბახტრიონი“ (1882-1892). ეს ტექსტი საინ-

ტერესო იმითაც, თუ როგორი დიდი რუდუნებით არის აღწერილი მასში მთის ლანდშაფტი: „მოგესალმებით, ქედებო,/ მომაქვს სალამი გვიანი,/ ჩემსამც სამარეს ამკობედ/ თქვენი დეკა და ღვიანი!/ თქვენგანა გულობს ეს გული,/ შიგ გრძნობა უდულს ღვთიანი./ თქვენი მიწოვავ მეც ძუძუ./ ლალიან-ბარაქიანი./ ნუმც გაჯავრდება პირიმზე,/ ნუმც დამწყველიან იანი,/ რომ იმათ დედის ძუძუთა/ ვსუქდები ცოდვილიანი“.

ამასთან ეს ქმნილება ყურადღებას იმსახურებს მთიელთა იდეალიზებული სახეების ძერწვის თვალსაზრისითაც. მთიელთათვის ბარის მტრის ძალადობისაგან მხსნელის მისიის მიწერაც, მთის კონცეპტუალიზების პროცესის ასევე ძალიან საინტერესო შტრიხია: „მთელი კახეთი ქცეულა/ ჩიქილა-მოხდილ ქალადა./ არა სჩანს ხელის შამქცევი,/ მტრის ამომყრელი ჯავრისა, / კაცი არ ჩნდება შამყრელი/ და წინ გამძლოლი ჯარისა.../ დაჯავრდენ თუშნი, რო ნახეს/ ქვეყანა ნაოხარია./ პირი ქნეს, იმათ წინ უძღვის/ ზეზვაი საოცარია./ სუყველამ ტანზე აისხა აბჯარი საომარია./ მე გამომგზავნეს საჩქაროდ/ ფშავს და ხევსურეთს მზირადა/ და დამაბარეს ხვენნი-თა/ სიტყვა, სათქმელი პირადა:/ ჩვენაც ხომ თქვენი ძმანი ვართ/ სისხლით, ხორციით და რჯულითა./ მტერმა დაგვჩაგრა, გვიშველეთ,/ გაუტეხელნო გულითა./ უბაროდ, განა არ იცით,/ მთანიც რო ვერა გვარობენ. გვიშველეთ, ფშაველ-ხევსურნო, ბარზე თათრები ხარობენ.../ ღმერთო და ჩვენო გამჩენო, ხატებო ფშავეთისაო“.

როგორც ვხედავთ, აქცენტია საქართველოს მთისა და ბარის მოსახლეობის წარმომავლობით ერთგვარობაზე და მათ საერთო რწმენა-წარმოდგენებზე. ფშავეთის ხატებს მთიელები კახეთის შველას შესთხოვენ: „აავსეთ თათრის სისხლითა/ ველები კახეთისაო“.

სამშობლო მიწის მთასთან ასოცირება თვალსაჩინოა რაფიელ ერისთავის ცნობილ ლექსში „სამშობლო ხევსურისა“ (1881): „არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა,/ არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!.../ მე მირჩევნია შავი კლდე, თოვლიან-ყინულიანი,/ ორბი რომ ბუდობს, ჩანჩქერი გადმოჰქუხს ბროლიწყლიანი,/ ჯიხვი და არჩვი მეყოფა, ხორცი აქვს მარილიანი.../ არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა,/ არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!.../ ბარად რომ ვიყო ლალადა, სული მთისაკენ იხარის,/ სალი კლდე ანდამატივით გულს სულ იქითკენ იხარის,/ იქ მიჯობს შავი სიკვდილი, ბარში სიცოცხლეს იმწარის!.../ ბარად რომ მომცე დიდება, ქონება უთვალავია,/ სასახლე ოქროს ტახტითა, ჯარი და ზღვაზე ნავია,/ არა ვინდომო ეგენი, არ მოკვდეს ჩემი თავია...“

ბარისა და მთის შედარებას და მთის უკეთესობის მტკიცებას რაფიელ ერისთავი განაგრძობს მოგვიანებით დანერილ ლექსშიც „მეცხვარე თრი-

ალეთზე“ (1886): „ცხორი ავდენე შირაქით/ თრიალეთისა მთაზედა,/ მეც მოქანცული, მოღლილი,/ ჩამოვჯე ჩემდა ქვაზედა,/....გალაღდა გული, გალალდა,/ჩოლი ბარისგან სნეული,/...ალარ მნადს, ალარ, შირაქი.“

მთების გასულიერება, ერთობის ცოცხალ წევრებად გადაქცევის ტენდენცია კარგად ჩანს ვაჟა-ფშაველას ქმნილებაში „მთანი მალაღნი“ (1895): „იდგენ და ელოდენ. უსაზღვროა მთების მოლოდინი, უსაზღვრო ზღვადა სდგას იმათ გულში. ნითლად, სისხლისფრად შედედებული უთიმთიმებთ გულ-მკერდში.გარეთ, სახეზე-კი არაფერი ეტყობათ, გარდა მტერობისა. ეს არის კიდევ ნიშანი მოლოდინისა. ვინ რა იცის, რა ამბავია მთების გულში, რა ცეცხლი სდულს და გადმოდის.მთებო, მთებო! რას ელით, ვის ელით? ნუთუ გყავთ სატრფო დიდი ხნის უნახავი? იქნება შვილი დაჰკარგეთ? იქნება ძმა, ან დედა გყავთ შორს წასული და არაფერი ამბავი მოგსვლიათ? პასუხი არ ისმის. სდგანან წარბშეუხრელად. ელოდენ, ელიან და კვლავ ექნებათ მოლოდინი. რა დააშრობს იმათ გულში იმ მოლოდინის ზღვას? არა აქვს იმას ბოლო, არც დასასრული, როგორც ღვთაებასროცა ყველა სულდგმულს, მწერს, ბალახს, ყვავილებს, მდინარეს და მოუსვენარს, დაულალავს ნიავს დაეძინებათ, მაშინ, მხოლოდ მაშინ ამოიოხრებენ და ცრემლსა ღვრიან.... არა, არა. ხანდახან თქვენც გიხარიანთ, და ქვეყანას-კი ჰგონია, ვითომ თქვენ არაფერს ჰგრძნობთ. ხომ ვიცი თქვენს გულში სანთლები დაენტება, როცა ლაღი არწივი დაგთამაშებთ თავზე და დასასვენებლად თქვენს კალთაზედ ჩამოეშვება. რა ლამაზები ხართ მაშინ! როგორ გიხდებათ, რომ ის თქვენი აღზრდილი შვილი ისე მამაცი, შეუპოვარი და ლამაზია. ის ხომ შიკრიკიცაა თქვენი.ღმერთს უამბობს, ატყობინებს თქვენს ამბავსარა გაქვთ აზრი? იდეა? გრძნობა? არ ოცნებობთ? როგორ არა! მაშ რაა ის მშვენიერი ყვავილები, თქვენ რომ გულ-მკერდს გიმშვენებთ? ეგაა თქვენი ოცნება, იმედი, ნუგეში. რად იბურავთ თავს ხშირის ნისლებით, თუ ჩუმ-ჩუმად რასმე არა ჰფიქრობთ და მაგ ფიქრს არ გვიმალავთ ადამიანის შვილებს?! რად მოგყავთ ბალახი? რად ადენთ ცივთა წყაროთა? რად აქანებთ ზვავებს? რათა ზრდით ლაღთა ხარ-ჯიხვთა? ვის ატყუებთ, თქვე კარგებო“!

მთის და ბარის შეპირისპირება და ქართულ კულტურისათვის მთის განსაკუთრებული მნიშვნელობის დასაბუთება თვალსაჩინოდ აისახა აკაკისა და ვაჟა-ფშაველას „კაფიობაში“. ეს „კაფიობა“ დაიწყო აკაკის ლექსით, რომელშიც ის თითქოსდა ენას უწუნებდა ვაჟას მისი ფშავეური დიალექტიზმების გამო. არსებითად ეს იყო არა მთის დანუნება, არამედ, პირიქით, მისი აპოლოგია და, ფაქტობრივად, აკაკის მიერ ვაჟას პროვოცირება, რათა მას პასუხისას კიდევ უფრო დიდებულად წარმოეჩინა მთა და მთიელები, დაესაბუთებინა ლოკალური კულტურის ეროვნული განზომილება:

„ენას გინუნებ, ფშაველო,/ მგოსანო მაღალ მთისაო,/თუმც კი გვითესავ მარგალიტს!../ მკითხველიც იმას მკისაო!/ ჯერ არ ვყოფილვარ ფშავეთ-ში,/ მაგრამ კი ვიცნობ ცნობითა;/ შენ დამიხატე ის მხარე/ ფშაურის ქკუა-გრძობითა./ და რაც არ გადმოგიცია/ მის შვენებაზე ენითა,/ მე თვითონ მივხვდი ყოლიფერს,/ შენთანვე აღმაფრენითა./ ვიცი, რომ ფშავლის სო-ფელი/ წმინდაა, მაღალ მთისაო,/ენა – მეტყველი სიმართლის,/გულ-მკერ-დი – ფოლადისაო./ წინეთ რომ ხმალი უჭრიდათ,/ სადღეისოდ სჭრის კა-ლამი/გადაეც ბარის მგოსნისგან/ მთიულებს ძმური სალამი“.

ვაჟამ ადეკვატურად გაიგო აკაკის გამოწვევა: ისიც საუბრობს მთის უნი-კალურობაზე, ოღონდაც ოდნავ უფრო ვრცლად და ეროვნული კონსოლიდა-ციის პროცესის ხელშემწყობი ფაქტებზე უფრო მეტი აქცენით. აი, ნაწყვე-ტი ვაჟას პასუხიდან: „მარგალიტების მფლობელი ენასა ხმარობს ღონედა, / და როცა მარგალიტს სთესავს, ან თუ ააგებს ყორედა, / მაინც ის არი, რაც არი, ჭორები მოაშორეთა! /იქნებ მე, ჩემმა ენამა, სამშობლო დავაღონეთა? /ფრთები შევკვეცეთ ოცნებას, დავამხეთ, დავამონეთა? /უვარგისობის მი-ზეზი ფშავლობა არის სწორედა. / მოძღვნილი არი მთის მიერ, ჩამოტანილი ქარისა, /რატომ არ ჰგუობს, არ ვიცი, ამ ჰანგს ბუნება ბარისა?! /აქაც ხომ ქართველები ვართ, ყვავილი აქაც ჰყვავისა,/ ხატად ჰყავ, სალოცავ ხატად, მთიელთ სამშობლო თავისა./ და ენა მთისა სიმტკიცით მსგავსია კლდისა სა-ლისა;/იქნებ, აკლია, არ ვიცი, ამ ლომს სინაზე ქალისა? /ამისთვის დასაგმო-ბია და წასაღები წყალისა?! /...გულს მისვენია ხატადა ენა მთისა და ბარისა. /მე არც ერთს კილოს არ ვუნუნობ, თუა ქართველის გვარისა, /მოთაყვანე ვარ ყოვლისა იმათ ტკბილის და მწარისა. /სხვა რამ მაშინებს, ისა ვსთქვათ, დამხობი მზის და მთვარისა,/სამშობლოს დამამხობელი და გამომჯრელი კარისა/ სჯობს, რომ იმაზე ვიტიროთ, მუდამ მთქმელი ვარ ამისა,/ ნუ შეგა-შინებსთ, არ გავნებსთ მთიდან ყვირილი ხარისა“.

სამშობლოს მთებთან ასოცირების ტენდენცია ჩანს უფრო მოგვიანო ხანის ქართულ მწერლობაშიც. მაგალითად, ეს ასეა გალაქტიონ ტაბიძის ლექსში „დაბრუნება“ (1918): „სილამოს ლანდები, ვით ბინდი ნიავის, /მიდა-მოს სდებია. /გინახავთ თქვენ ფერი დაბინდულ ქლიავის? /- ეს ჩემი სამ-შობლო მთებია! მე რაღაც იდუმალ მოლოდინს ვუნდები.../ ირგვლივ ზვირ-თებია /და გემი „დალანდი“, რომლითაც ვბრუნდები“.

მთიელთა იდეალიზება და მთის, როგორც ქართული ავთენტური, ხე-ლუხლებელი არსის შემნახველის თემა გრძელდება ქართულ საბჭოურ მხატვრულ ლიტერატურაშიც. ამის საინტერესო მაგალითია აკაკი ბელი-აშვილის რომანი „ვეფხია ხალიბაური“, რომელიც ეკრანიზებულიც იყო, ოღონდაც განსხვავებული სახელწოდებით („ისინი ჩამოვიდნენ მთიდან“). საბჭოთა ეპოქაში ამ თემის აქტუალურობაზე საბჭოთა ლერბში მთის გა-მოსახვაც შეიძლება მიუთითებდეს. მთა ამ ლერბზე ამკარად ქართულ

იდენტობრივ მარკერად არის გააზრებული. მისი ოპოზიცია ველიც ჩანს, მაგრამ ზღვა – არა.

რა უნდა იყოს ქართველ ხელოვანთა მთისადმი ამგვარი დამოკიდებულების მიზეზი? რა თქმა უნდა, ეს პერმანენტული ინტერესი და იდეალიზების სურვილი არ შეიძლება იყოს შემთხვევითი.

როგორც ითქვა, ლანდშაფტების სოციალური შინაარსით ავსება და მათი კოლექტიური მეხსიერების არსენალში ჩართვა, არის ნაციონალიზმის იდეოლოგიის უნივერსალია, რომელიც ახასიათებს ერის ქმნადობის პროცესს ნებისმიერ ქვეყანაში. როგორც ირკვევა, მთის ეროვნულ მარკერად გააზრებაც, უნივერსალიაა. ამას აჩვენებს ბალკანეთის ქვეყნების ეროვნული ნარატივები, რომლებშიც მთები, მთის მოსახლეობა იდეალიზებულია<sup>1</sup>. აქაც, როგორც ქართულ სინამდვილეში, მთა და მთური საზოგადოებები ავთენტური თვითის შემნახველად არის კონცეპტუალიზებული.

კავკასიაც და ბალკანეთიც რეალურად მთიანი რეგიონებია. ამიტომ მთები აქაური ხალხების ცხოვრებაში ისტორიულად დიდ როლს ასრულებდა. მაგრამ ჩანს, ეს არაა მარტო მიზეზი იმისა, რომ ნაციონალური კონსოლიდების პროცესში ეს თემა აქტუალური გახდა. ნაციონალიზმის იდეოლოგიაში და მისგან გამომდინარე ეროვნულ ნარატივებშიც განსაკუთრებული აქცენტი კეთდება ტრადიციაზე. მთა, რომელსაც უფრო გვიან ეხება ცვლილებები, წარმოგვიდგება, როგორც ტრადიციის შემნახველი. ამიტომ ის იპყრობს ნაციონალიზმის იდეოლოგთა ყურადღებას. ამასთან, ერების მშენებლობა გულისხმობს შიდა ტიხრების მოშლას, კულტურული უნიფიცირების პროცესის გაშლას, რათა ერთობის ყველა ნევრი შიდა ჯგუფური სოლიდარობის იდეოლოგიის თანაბრად მიმღები იყოს. ტრადიციის უნაკლოდ შემნახველი მთა და მთიელთა იდეალიზებული სახეები ამ უნიფიცირების სურვილის გამოსატყულებად უნდა მივიჩნიოთ. ეს იმას მიუთითებს, რომ ნაციონალისტები მოსახლეობის შედარებით განკერძოებული ნაწილის ინტეგრირებას ესწრაფვიან.

ამას გარდა, მთით ქართული იდენტობის მარკირება გამოწვეული უნდა იყოს რუსეთთან დაპირისპირებითაც. „ვიყავ რუსეთში, ვნახე ვაკენი“. ეს სტრიქონი აკაკი წერეთლის ერთ-ერთი ლექსიდან კარგად აჩვენებს, ქართველების თვალსაზრისით, თუ რა წარმოადგენს რუსეთის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მარკერს. შესაბამისად, ქართველი ნაციონალისტები მშობლიური ერის იდენტიფიკაციისათვის რადიკალურად განსხვავებულ სიმბოლოს ირჩევენ.

საბჭოთა პერიოდშიც რომ ერთხანს არ ნელდება მთებისადმი ქართველ ხელოვანთა ინტერესი, აიხსნება ქართულ საბჭოთა იდენტობაში მთიანე-

<sup>1</sup> Brunnbauer U., Pichler R. Mountains as „lieux de mémoire“. Highland Values and Nation-Building in the Balkans. *Balkanologie, Revue d'études pluridisciplinaires*, 2002, vol. VI, №1-2, გვ. 77-100.

თის ინტეგრირების სურვილით. წარსულიდან გადმოყოლილი წეს-ჩვეულებები უფრო მყარად შენახული იყო მთაში. საბჭოთა სახელმწიფო ესწრაფოდა მათ მოსპობას (მაგალითად, სისხლის აღების ადათი) და კულტურულ ჰომოგენიზაციას. ამიტომ ინერგებოდა იდეალიზებული მთის ხატი და ამ ფონზე იგმობოდა მავნე ჩვეულებები. საინტერესოა, რომ ესეც პოულობს გარკვეულ პარალელს ბალკანურ გამოცდილებაში. სოციალისტური რეჟიმების დროს მთის კონცეპტუალიზება, როგორც ეროვნული იდენტობრივი მარკერისა, იქაც გაგრძელდა.

### **დასკვნა**

ამგვარად, ჩვენ თვალი გავადევნეთ ახალი დროის ქართული ლიტერატურის ზოგიერთ ძეგლში მთის და მთური ლანდშაფტების გამოსახვის ფაქტებს. დაფიქსირდა ქართველ მწერალთა პერმანენტული ინტერესი ამ თემისადმი. ირკვევა, რომ ეს ინტერესი არ არის შემთხვევითი და ის უკავშირდება ეროვნული კონსოლიდაციის პროცესს. თხრობა მთის, როგორც ქართული ავთენტურობის შენახვის ადგილის და მთიელების, როგორც ქართული იდენტობის მცველთა, შესახებ ქართული იდენტობრივი ნარატივის განუყოფელ ნაწილად გადაიქცა.

მთის კონცეპტუალიზებას ქართულ სინამდვილეში აქვს ხანგრძლივი წინა ისტორია. უძველეს ქართულ ჰაგიოგრაფიული თხზულებაში, წმიდა ნინოს „ცხოვრების“ ვრცელ რედაქციაში (IV ს) ქართულ მწერლობაში პირველად დაისვა მთისა და ბარის კულტურული შეპირისპირების საკითხი. ბარში წმიდა ნინოს ქადაგებას წინააღმდეგობა არ შეხვედრია, მთიელები კი მის მიმართ აგრესიას გამოხატავდნენ („იღრჭენდნენ კბილთა“). მთიელთა ნაწილი, მეფის ერისთავის მხრიდან სადამსჯელო ღონისძიების განხორციელების მიუხედავად, მაინც არ გაქრისტიანდა. ეს აჩვენებს, რომ მთა იმ დროს სრულიად „სხვად“ თუ არ მოაზრებოდა (ენა ქართული ჰქონდა, აშკარად ქართულად ისმენდნენ განმანათლებლის ქადაგებას), გარკვეულად მაინც „სხვად“ იყო აღქმული. ასეთი გახლავთ მთის მოსახლეობის ხედვა გაქრისტიანებულ ქართლის საზოგადოების მიერ. ეს იყო მთის კულტურული ინტეგრაციის მცდელობის პირველი აღწერა.

მთიელთა აღქმა, როგორც ქართული ჩვენ-ჯგუფის მარგინალური თემისა, საუკუნეების განმავლობაში გაგრძელდა. თამარ მეფის ისტორიკოსს ეჭვი შეაქვს, რომ ფხოველნი ქართული იდენტობის ერთ-ერთ უმთავრეს მახასიათებელს – ქრისტიანობას, რეალურად იზიარებენ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი, მისივე სიტყვით, თავს ქრისტიანებად თვლიან („ქრისტიანობასა იჩემებენ“). XVIII საუკუნეშიც კი ვახუშტი ბაგრატიონი აფიქსირებს კულტურული თვალსაზრისით მთიელთა ნაწილის ქართული ჩვენ-ჯგუფისაგან დაცილებას.

აი, სწორედ ეს ვითარება შეიცვალა მძლავრი კონსოლიდაციის პროცესის შედეგად მეცხრამეტე საუკუნიდან. ქართული ეროვნული ნარატივის შემქმნელნი გვარანმუნებდნენ, რომ ყველა თვალსაზრისით მთა ბარზე უკეთესია, რომ მთაშია დაუნჯებული ქართველი ერის სასიცოცხლო ენერჯია, რომ მთიელი ქართველი არათუ თანაბრად, ბარელი ქართველზე ბევრად მეტადაც კი არის „ჩვენ“.

# MOUNTAINS AND MOUNTAINEERS IN THE GEORGIAN IDENTITY NARRATIVE

**Mariam Chkhartishvili**

*Georgia*

## **Problem statement**

Identity narrative is a discourse that answers questions vital to the nation: Who are we? Who were we? What is our future? What is the sense of our existence?

This narrative is created by the cultural elite of a community (we-group), based on the collective-cultural identity: the facts of common historical experience are identified and reinterpreted in a single context.

Through the identity narrative, people develop a sense of group solidarity.

National identity narrative covers a variety of topics. In essence, this is a narrative about the identity of a native nation (already existing or potential). It discusses the past of we-group, its social structure and relations between social groups, the relationship between the regional and national identities, value system, the scheme of moral obligations, cultural uniqueness (language, religion, technology), ethnic electivity, global mission, divine providence of the nation, common destiny and future, national characteristics, attitudes towards „others“ (with ethnic minorities within the country and with others outside the country), sacrality of the native land, etc. In short, identity narrative includes everything that has to do with the definition of a collective „I“ or „We“.

Identity narratives are studied with a particular interest in Western secondary sources. In Georgia this is still less visited topic because the most of Georgian historians essentialize the phenomenon of nation. Personally, I consider the process of nation-building from a constructivist position; therefore, the study of the identity narrative is a priority for me.

In my previously published studies, I have already analyzed various issues of the Georgian identity narrative and identified the connection of each of them with the fundamental ideals of nationalism.<sup>1</sup> In this work, I continue my research in this direction. In particular, I will analyze a topic that can be conventionally called „conceptualization of the national landscape“.

Territory is one of the basic markers of communities based on collective cultural identity, therefore, the discourse about the native land occupies a completely prominent place in identity narratives. The sacred landscapes assigned to the native land

---

